ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5859841

ნომერი: AR1886544

თარიღი : 14.03.2022

გაცემის თარიღი : 22.03.2022

გაცნობის თარიღი : 22.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ , (ნაკვეთი 14/541) ; ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ , (ნაკვეთი 14/517);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა იმერლიშვილი პ/ნ 01005042496
- თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 23 ბ. 37

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2300924 (2862604)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 30.11.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სამრეწველო საქონლის მაღაზია, ოფისი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რატი ხეცურიანი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვახო მესხი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010007398

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2200.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1221.6
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 3130.65
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 701.39
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 271.94
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 46.22
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 1999.87
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 111.23
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 17511.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 12790.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4721.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 17.55
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 12.45
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 5.1
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1130.4=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1948.8=0.9
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 556.8=0.3

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები. -> .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2300924 (2862604 - 28.09.2016;)
2.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: ვინაიდან კორექტირებით ავტოსადგომების არეალი კვეთს ტერიტორიაზე (ტოპოგრაფიული გეგმით) არსებულ ხე-ნარგავებს, საჭიროა მოინიშნოს მოსაჭრელი და გადასარგავი ხე-ნარგავები.
3.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის N13-01220803350 წერილით არქიტექტურის სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ საპროექტო ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით. აქედან გამომდინარე და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჭიროა, წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და განაახლოთ არსებული ფოტოსურათები დღევანდელი მდგომარეობით. დამატებით წარმოდგენილ იქნას დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო (კონსტრუქციული) დასკვნა, დამოწმებული სპეციალისტის (ექსპერტის) მიერ და ინფორმაცია შემსრულებლის (ექსპერტის) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.
4.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf

ფაილი.: შესწორდეს გადახურვის ნიშნულები. გათვალისწინებულ იქნას ლიფტის სამანქანო განყოფილება.
5.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: დატანილ იქნას სიმაღლის ნიშნულები დეტალურად.
6.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: დამუშავდეს განახლებული ჭრილის შესაბამისად.
გათვალსიწინებულ იქნას კორექტირებული არეალი სახურავიოს ნაწილში.
7.კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოდგენილ იქნას განახლებული ფოტომონტაჟი, კორექტირებული არეალების ჩვენებით, მათ შორის სახურავზე მოწყობილი კიბის უჯრედის დატანით.
8.ველები ჩამოყალიბდეს:

- შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები: შეთანხმებული პროექტის ბრაძანების ნომერი: გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: № 4736580
- შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები: შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი:გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 05/11/2019
- არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები: მშენებლობის ნებართვის ბრაძანების ნომერი: გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: № 4875456
- არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები: მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი: გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 26/02/2020

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.